

საქართველოს ორგანული კანონი

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში“ დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 76) შეტანილი იქნეს შემდეგი დამატება:

1. 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

5. ამ კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას სრული 100%-ით მიიღებენ ის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები (პარტიები), რომელთა საკანონმდებლო ორგანოში გასულ დეპუტატთა სიაში სქესთა შორის პროცენტული თანაფარდობა 2 %-ზე ნაკლებია. იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ორგანოში გასულ დეპუტატთა სიაში სქესთა შორის პროცენტული თანაფარდობა აღემატება 2%-ს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს (პარტიებს) სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან დააკლდება კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების 25%-ი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი